# სამშობლო

ტ. I 1915 წ. შაბათი 28 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 23 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 23


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


უზომო მწუხარებაში მყოფნი კნეინა ნინო გიორგის ასული გელოვანისა, კონსტანტინე და პლატონ ლევანის ძენი გელოვანები მეუღლეებით, ერმალო გოჯასპირის ძე გელოვანი და ტიპი (აგრაფენა) გელოვანისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობარნაცნობთ, რომ 22-ს ამა თებერვალს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქმარი, მეორე და მესამესი ძმა, მეოთხესი ძმისწული და უკანასკნელთ ბიძაშვილი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი

თ-დი ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძე

გელოვანი,

რომელსაც მოასვენებენ თბილისიდან დღეს, ხუთშაბათს დილით 26 თებერვალს, ქუთაისის სადგურზე. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს ნაშუადღ. 1 საათზე, საკათედრო ტაძარში. და შემდეგ წირვა-პანაშვიდისა, ორ საათზე, წაასვენებენ ლეჩხუმში ს. სპათაგორს, ხოლო დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოში ახალქალას 1-ს მარტს, დილით კვირას.
4—3—78

ბიძები: დიმიტრი და ალექსი, ბიცოლა თამარა, ბიძაშვილი ფილიპე დიმიტრის ძე და ბიძაშვილის შვილები ნადეჟდა და ვერა გაბელაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 მარტს, დღის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი უდიდებულესობის ციმბირის პირველი პოლკის

კაპიტნის დიომიდე იესეს ძის გაბელაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც წარსულ წელს, 5 ოქტომბერს მტერთან თავგანწირულ ბრძოლის დროს გმირულათ იქნა მოკლული.
1—1—79

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“
Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჟორჟიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
ძმათა პასხალიდის
აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. მოსკოვის ფირმის ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.
ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს
სამანიფაქტურო მაღაზიაში
მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,
აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.
განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:
„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:
„ფაი—რენე“ და „ფაი—შიკ.“
აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.
ფასები შეუმაჟრებლათ თ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ კვირას, 1 მარტს,
ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა დავით კლდიაშვილისა.
1. უბედურება
სურათი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები.
2. პირველად ორიგინალური პიესა კონ. ანდრონისა.
სიზმარი კოშკში
1 მოქმედებიანი.
3. ორიგინალური კომედია აკაკი წერეთლისა
ბუტიაობა
1. მოქმედებიანი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ანონსი: მზადდება წარმოდგენად: ოიდიპოს მეფე, იუდა ისკარიოტელი.

გუშინ, 27 თებერვალს დანიშნული საუბარი ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატ. პოემა
„ქალი გრძნეულის“ შესახებ
შესდგება სამშაბათს, 3 მარტს იმავე პროგრამით.
ბილეთების გაყიდვა გრძელდება.
აღებული ბილეთები გამოდგება სამშაბათს.

„სასოფლო გაზეთი“
მომავალ მარტის პირველ რიცხვებში განაახლებს გამოსვლას.


## დეპუტატ გელოვანის ცხედრის გასვენება.

ვ. გელოვანის ნეშტის დამმარხველ კომიტეტის დადგენილებისამებრ, წინა ღამით თფილისიდან ქუთაისის სადგურზე ჩამოსვენებული ცხედარი, სადგურიდან გამოასვენეს 26 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე.

ჯერ ათი საათი არ იქნებოდა, რომ ხალხმა სადგურისკენ დენა დაიწყო.

პირველი საათისათვის სადგურის წინ მოედანი აივსო. ხალხში ერივნენ ქალაქის გამგეობისა და ყველა კულტურული დაწესებულების წარმომადგენელნი. იყვნენ აგრეთვე თფილისიდან ჩამოსულნიც: „თემის“ რედაქტორი გ. დიასამიძე, „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელი ა. ჯაჯანაშვილი, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. რ. ერისთავი, სახელმწიფო სათათბიროს ლაზარეთის წარმომადგენელი თავ. ევსევი ლორთქიფანიძე და სხვა მრავალი საპატიო და წარჩინებული სტუმარი.

მოედანზე ჩამწკრივებულნი იყვნენ ამქრები ძაძა გადაკრულ დროშებით, ქალაქის სასწავლებელთა მოწაფენი, ქართული დრუჟინის სანიტარები, ქართული გიმნაზიის მოწაფენი მუსიკით. ორი ხორო-ქართული გიმნაზიისა და დედათა ეპარქიალურ სასწავლებლისა. და მრავალი ხალხი.

პირველის ნახევარზე მოწაფეებმა გამოიტანეს 50-დე გვირგვინი (ბევრი მათგანი ვერცხლისა იყო) და წყვილ-წყვილათ გამწკრივდენ თფილისის ქუჩაზე, გვირგვინების უკან ეჭირათ სამგლოვიაროთ მორთული დიდი სურათი განსვენებულისა.

ხალხში გაისმოდა ყრუ გმინვა და ტირილი. ტიროდენ მახლობელნი, ჭირისუფალნი ვარლამისა ტიროდენ გარეშენიც.

სრულ პირველ საათზე სადგურის კარებში გამოჩნდა კუბო მიცვალებულისა.

კუბო მოჰქონდათ ვარლამის მეგობრებსა და ამხანაგებს კიტა აბაშიძის მეთაურობით,

დიდებული წამი იყო! ყველამ ერთხმათ ამოიოხრა და ხალხში ჩოჩქოლი ჩავარდა.

ღრმა მდუმარებით კუბო სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, განსვენებულის ბიძამ თავ. იასონ გელოვანმა.

ახოვანი და წარმოსადეგი მოხუცი ისეთის ტკბილის ქართულითა და თან მწარე კილოთი ლაპარაკობდა, რომ თითოეული მისი სიტყვა ნემსივით უვლიდა ადამიანს გულში.

სიტყვა იგი იყო მარტივი, სადა, მაგრამ საუცხოვო ნიმუში მჭერმეტყველებისა, საუცხოვო გამომთქმელი ულმობელი სევდისა და მწუხარებისა.

ბევრი ატირდა. მეც ცრემლები ვეღარ შევიკავე...

მთელის ჩემის არსებით დამენანა ეს უდროოდ დაკარგული, ჯან-ღონით სავსე ვარლამი!

ეჰ! ან კი რა არის ადამიანი? ერთი დამთქნარებაა ჩვენი სიცოცხლე და ტანჯვა-წვალება—ჩვენი ცხოვრება!

რატომ ყოველთვის არ ვფიქრობთ ამაზე და ერთიერთმანეთის დახმარებით არ ვამსუბუქებთ დუხჭირ ყოფნას?..

მეორე სიტყვა წარმოსთქვა ახალგაზრდა ვექილმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ.

მკვეთრი ხმა, ლამაზი გამოთქმა და წრფელი გრძნობა—ახასიათებდენ ამ სიტყვას.

მეორე საათი სრულდებოდა, როცა პროცესია დაიძრა სადგურიდან.

დიდებული და თან გულსაკლავი სანახავი იყო ეს პროცესია.

სამგლოვიარო მარშის ხმა კვნესდა და ქვითინებდა, სევდიანი ჰანგები მშობლიურ „წმიდაო ღმერთოსი“ ურწმუნოსაც კი მწარე ფიქრითავსებდა და იტაცებდა მას შორს, შორს... ხორციელ ყოფნის სამზღვარს იქით და...

გინდოდათ გერწმუნათ, რომ მეობა ადამიანისა არა კვდება ხორცთან ერთად, რომ სული მისი უკვდავია, დროსა და ჟამისაგან ხელშეუხებელი და სული გარდაცვალებულის ადამიანისა მარადის თავს დასტრიალებს ზედამრჩოთ და ამხილებს მათ გულვიწროობას, ხორცთა შინა მყოფთა სულმოკლეობას!..

შეიძლება, ამიტომაც ამბობს ჩვენი ჭკვიანი ხალხი ამ ქვეყნიდან გასულზე - გარდაიცვალაო.


კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ გერმანიის ასპარეზი.**

დემანჟვიცის რაიონში იერიშები რიგ-რიგობით სწარმოებს.

გალიციაში ბრძოლა წინანდელი სისასტიკით გძელდება.

სოკოლიკის რაიონში ავსტრიელებისგან მოტანილი იერიში მათი დამარცხებით დასრულდა,

ოსოვეცის რაიონში გერმანელების ჰაეროპლანებმა 20-მდი ყუმბარა ისროლეს.

ს. ვერჟბოლოვოსთან ხელთ ვიგდეთ მტრის ახალი ჰაეროპლანი ორი მფრინავით.

ზოგიერთ ადგილას მტრის ჰაეროპლანები ცეცხლის გამჩენ ყუმბარებს ისვრიან.

კარგმა ამინდმა ხელი შეუწყო მტრის ჰაეროპლანებს დაეზვერა ჩვენი პოზიციები.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ბელგიაში გერმანელები ნიუპორტს 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებს უშენენ.

ლისანსა და ლაბასეს შუა ინგლისელებმა გაიმარჯვეს. ტყვეთ წაიყვანეს 1000 გერმანელი, რომელთა შორისაც რამდენიმე აფიცერია. ხელში ჩაიგდეს ბევრი ტყვიისმტყორცნელი.

მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა გერმანელების რამდენიმე თხრილი აიღეს.

ავსტრიასა და იტალიას შორის ტრიენტის დათმობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.

იტალიელებმა გამჟასთან მჟამზოხენი გაფანტეს.

ვილჰელმი ლოვიჩში თავის ჯარს ამხნევებს.

ზეებრიუგეში გერმანელების 20 წყალქვეშა ნავი მივიდა.

კოპენჰაგენში საბერძნეთის კრიზისის შედეგებს მოუთმენლათ მოელიან.

ქუთაისის ქალაქის თეატრში.
ხუთშაბათს, 5 მარტს გაიმართება
გრიშაშვილის საღამო.
ხუთ განყოფილებად... დაწვრილებით შემდეგ
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები ამთავითვე ისყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.
4—1

რა ღრმა და დიდაზროვანია სიტყვა **გარდაიცვალა!** მთელი ფილოსოფიური ტრაქტატი დაიწერება ქართულ ამ ერთ სიტყვაზე.

დიაღ, ჩვენ ხალხს არა სწამს **სიკვდილი**, ჩვენს ხალხს სწამს მხოლოდ **გარდაცვალება** და სწორედ ამ განცდაშია ჩამარხული საბუთი ქართველი ხალხის უკვდავებისა!..

თითოეული ჩვენთაგანი **გარდაიცვლებით.** ხორციელად „ერთი წავა და სხვა მოვა უცხოსა საბალნაროსა“, მაგრამ სული ჩვენი კი, სული ამაღლებული და განწმენდილი ხორციელ ცოდვათაგან ვერა, ვერ მოშორდება ჩვენ ტურფა და მრავალ-ტანჯულ ქვეყანას. ასე მგონია მე ყოველთვის და ეს ფიქრი ერთი წუთის შეურყეველ რწმენათ გადამექცა, როცა ვარლამს თფილისის ქუჩაზე მოასვენებდენ...

მე მრწამდა, რომ სხვებიც ასე ჰფიქრობდენ ამ ჟამათ.

თფილისის გრძელი ქუჩის ნაპირები, აივნები და ფანჯრები ხალხით იყო სავსე...

პროცესია მოდიოდა წყნარად, სვენებ-სვენებით.

სხვათა შორის, პატივი გვცეს და ჩვენს რედაქციასთან შეაჩერეს სამგლოვიარო ეტლი.

მე აქ მინდოდა სიტყვის თქმა, მაგრამ ჯერ კიდევ გრძნობა მჭარბობდა...

მესამე საათის დასაწყისს პროცესია საკრებულო ტაძრის მოედანზე გაჩერდა. აქ გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი და ზღვა ხალხში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ხალხი გრძნობდა, რომ ახლა კი უნდა გადაშლილიყო გულისნადები ხალხის წარმომადგენლებისა. ახლა კი უნდა ეთქვათ, ვისაც რა სათქმელი ჰქონდა.

პირველი სიტყვა წარმოთქვა სოფლელმა მღვდელმა მ. მიხეილ ბუაჩიძემ. სიტყვა იგი დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში და მის დაფასებას აქ არ შევუდგები, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს სიტყვა მაჩვენებელია იმისი, რომ მღვდლებიც ჩაჰკვირვებიან ჩვენის ცხოვრების სიღრმესიგანეს და იმათაც გაუთვალისწინებიათ მიზანი და დანიშნულება ჩვენის ყოფნისა...

ღმერთმა ამრავლოს ჩვენში ასეთი ფიქრისა და გრძნობის ადამიანები!...

მეორე სიტყვა სთქვა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა... უნდა გამოვტყდე, რომ ეს მარტო სიტყვა კი არა, მთელი პროგრამა იყო ჩვენი ცხოვრების მოსაწესრიგებელი. ეს ეროვნული გრძნობის შადრევანი იყო! ასეთი თამამი, მკაფიო და გარკვეული სიტყვა მე ბევრი არ გამიგონია და არც წამიკითხავს.

საზოგადოთ ბ-ნ ჩიქოვანს, როგორც იტყვიან ხოლმე, „გული შიგნიდანა ჰქონია“ და ვისურვებთ, რომ ეს გული არ გასცივებოდეს.

მესამე სიტყვა სთქვა კიტა აბაშიძემ.

ვინც რა აზრისა უნდა იყოს ბ-ნ კიტაზე—ერთი დიდი ღირსება აქვს: იგი ნამდვილი ოქროპირია, ქართველ ორატორთა შორის უწარჩინებულესია, ხოლო გუშინდელი მისი სიტყვა ზღვა იყო გრძნობისა და მეხი იყო საქართველოს ორგულებისათვის.

მარგალიტებივით სცვიოდა პირიდან მშვენიერი ქართული სიტყვები და ამხანაგურის, მეგობრულის, მამულიშვილური გრძნობით იყო გამთბარი იგი სიტყვები...

ეს სიტყვა იყო მუსიკა გლოვისა და სასოება მომავლისა!..

ჩემდა სამწუხაროთ ვერ მოვისმინე უკანასკნელი სიტყვა მუშა ქელბაქიანისა.

მეოთხე საათზე პროცესია გაემართა ფერმის ქუჩისკენ. იქ, იმ ადგილას, სადაც ფრიალო კლდე არქიელის გორისა პირმქუშათ გადმოჰყურებს პაწია ტრიალ მდელოს, პროცესია კვლავ შეჩერდა და კვლავ დაიწყო შესაფერი სიტყვების თქმა...

დაღალული ვიყავ და ეს სიტყვები ველარ მოვისმინე.

ფერმის ქუჩიდან გადავუხვიე რიონის პირად, ჩამოვჯექ ერთ ბექობზე და დავუწყე მზერა ქუთაისის თვალწარმტაც მიდამოს.

რომელი კალამი აწერს სიკეკლუცეს ამ მიდამოისას! ამას ნახვა და განცდა უნდა...

საღამოს ექვს საათზე სამგლოვიარო ეტლი მიაქროლებდა ვარლამის უსულო გვამს რაჭა-ლეჩხუმის ჯანღით დაფარულ მთებისაკენ...

მშვიდობით უდროოდ გარდაცვლილო ქართველო! **ია ეკალაძე.**

# სიტყვა,

ქალაქის მოურავის ილ. ჩიქოვანისა, წარმოთქმული სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარლამ გელოვანის გამოსვენების დღეს.

ამ გულსაკლავს, გულის დამთუთქველს ცხედარს რომ უყურებ, უნებლიედ მაგონდება დიდი ილიას სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილზე ნათქვამი:

„აღარა გვყავს!.. უღმრთო იყო შენი
სიკვდილი!
ვინ უწყს რავდენი საუნჯენნი დავმარხეთ ჩვენა,
ეგ მტკიცე გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ
გამლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უშლელით, ჩვენ
ჩავგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?..“

დიდია განსხვავება ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ვარლამ გელოვანს შორის, მაგრამ ეს საუცხოვო, მაღალგრძნობიერი სიტყვები რამდენადმე გელოვანის სიკვდილზედაც ითქმის.

მართლაც, განა უსამართლო, უაზრო არ არის ამ ახალგაზდურ სიცოცხლით დაუშრეტელ ენერგიით, ბრწყინვალე, ყველაფრის შემძლე იმედებით სავსე კაცის უდროოდ სიკვდილი!

ვინ იცის, მართლაც, რამდენი უთქმელი სიტყვა და გაუმჟღავნებელი გრძნობა, რამდენი კეთილი მისწრაფება და წრფელი ზრახვანი ჩაიყოლია ვარლამმა ცივს სამარეში!

თვალთმაქცი, დაუნდობელი ბედი თითქოს უღიმოდა მას თავიდან. ბედმა მას არგუნა ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობა; აიყვანა უმაღლეს საზოგადოებრივს საფეხურზე მით, რომ ჩააბარა მას მთელი ქართველი ერის უფლებათა დაცვა და მოსარჩლეობა. მგოსნის თქმის არ იყოს, „მიანდო მას ერის გრძნობა, ტანჯვა და ლხენა“.

ჩვენდა სავალალოდ, ერთობ ხანმოკლე შეიქნა ვარლამ გელოვანის მოსარჩლეობა, მისი ქვეყნის მსახურება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიაც მოასწრო მან ხმამაღლა, გაბედულად ეთქვა სათათბიროში დიდი რუსეთის ხალხის წარმომადგენელთათვის, რომ ქართველს ერს არ დაუკარგავს ჯერ შეგნება თავის ეროვნულ უფლებათა და მოელის, მოუთმენლად მოელის ამ ხალხის წარმომადგენელთაგან მეტს ყურადღებას, მეტს დაფასებას..

ქართველი ერის წარმომადგენელმა გარკვევით, გადაჭრით საქართველოს ეროვნულ უფლებათა დამცველად აღიარა თავის თავი სათათბიროში და ვინ იცის, რომ დასცლოდა, კიდევ უფრო გაბედულად ამცნობდა ყველას ვარლამ გელოვანი, რომ საუკუნოებით ეროვნულ კეთილდღეობისთვის მებრძოლი ქართველი ერი ვერ იტანს, ვერ ურიგდება და

ბეჯითად მოითხოვს ნამდვილი, საყვარელი შვილის ადგილს დიდს საკაცობრიო ოჯახში.

ვარლამი ამცნობდა ქვეყანას, რომ თუ მისი სამშობლოს თვალწარმტაცი, ლამაზი მთა და ბარი საამოა, საყვარელია უცხო კაცისთვის, გადამთიელისთვის, ერთი ასად უფრო ტკბილი და [illegible] ქართველისთვის, რომელსაც სისხლის წვემების ფასით შეუძენია [illegible]

აღარ დასცალდა ვარლამს... იმავე მუხანათმა ბედმა როგორც აღამაღლა, ისე მსწრაფლადვე დასცა და უდროოდ მიიყვანა იგი საფლავის კარამდის... მაგრამ სულ არ გასწირა: რჩეულს კაცს მოუმზადა სიკვდილი საქებარი, სახელოვანი.

ეხლანდელმა დიდმა ამბებმა, საერთაშორისო ომის საშინელმა ქარიშხალმა გამოაღვიძა, აამოძრავა თვით უძრავნი, უსიცოცხლონი და რა გასაკვირია, რომ სიცოცხლით სავსე, დაუდგომელი, მოუსვენარი ვარლამი წრფელი ახალგაზდური გატაცებით ჩაება საზოგადო ფერხულში და მსხვერპლად შეეწირა წმინდა მოვალეობას--ავათმყოფ და დაჭრილ მეომართა მოვლა-პატრონობის საქმეს.

დაიღუპა იგი, მაგრამ დაიღუპა, როგორც სახელოვანი გმირი, წმინდა მოვალეობათა აღსრულების დროს!

რით ვანუგეშო ვარლამის დამკარგველი ერი? რით ვანუგეშო მისი მოყვარული ნათესავები და მეგობრები?

ქართველ ერს არ სჭირია ჩემი ნუგეში; ის მადლიერია თავის შვილის და ამაყობს მით, რომ ვარლამმა თავის ხანმოკლე, მაგრამ სასარგებლო ეროვნული მოღვაწეობა ერის სასახელოდ დააგვირგვინა..

ხოლო თქვენ, ვარლამის ნათესავებო, ინუგეშეთ თავი მით, რომ ქართველი ერი მადლობით და სასოებით იხსენებს ვარლამის სახელს.

შენ კი, ძვირფასო ვარლამ, ჩვენი დიდი მგოსნის სიტყვებით გეტყვი; ბედნიერი ხარ მით, რომ შენი ლამაზი ცხოვრება და კარგი საქმე „სიკვდილითაც არა გკლავს შენ!..“

# სამძიმრის დეპეშები.

ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ სამშობლოს ღირსეული შვილის ვარლამ გელოვანის უდროოთ დაკარგვის გამო.

პეტროგრადის პოლიტეხნიკუმთან არსებულ ქართულ სათვისტომოს თავჯდომარე. აკაკი ბაბუნაშვილი.

——

ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა ბათომიდან ექიმ ემავასგან ვარლამ გელოვანის გადაცვალების გამო, შემდეგი დეპეშა მიიღო.

ბათომის ქართველი საზოგადოება გამოსთქვამს თავის მწუხარებას პატიოსან საზოგადო მოღვაწის, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, ვარლამ გელოვანის უდროოთ დაკარგვის გამო, რომელიც მსხვერპლი გახდა მოვალეობისა ტანჯულ კაცობრიობისათვის.

# კლასთა ბრძოლა და ეროვნება.

კარლ მარქსმა სთქვა: ისტორია—კლასთა ბრძოლააო. და ეს იდეა არის გატარებული მისი მიმდევრების პოლიტიკურსა, ეკონომიურსა და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

მაგრამ დღევანდელმა საქვეყნო ომმა ძირიანად შესცვალა ეს ცალმხრივი შეხედულება.

კაპიტალისტურ ევროპაში, სადაც ასე გამწვავებული იყო კლასთა და პარტიათა ბრძოლა, დღეს სრული შინაგანი ერთსულობა და თანხმობა სუფევს და პარტიების ხსენებაც კი აღარ არის. პირიქით, ერთი ქვეყნის ბურჟუაზია და პროლეტარიატი მეორე ქვეყნის ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს ებრძვიან.

აქიდან ჩანს, რომ ერთობა რომელიმე ერის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის უფრო მჭიდრო და ძლიერი ყოფილა, ვიდრე სხვადასხვა ერის პროლეტარებსა ან ბურჟუებს შორის.

რისთვის შეერთებულან ასე გუშინდელი მოსისხლე მტრები, ერთმანეთთან მებრძოლი კლასები, პროლეტარები და ბურჟუები თითოეული ერისა?! ეროვნული თავდაცვისათვის: თითოეულ ერს სურს დაიცვას თავისი ჩამომავლობა, ენა, ზნეჩვეულებანი, მიწა-წყალი, კულტურა და განათლება. ზოგიერთებსა ჰგონია, კავშირი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის დროებითაო და, როგორც კი ომი გათავდება, კვლავ გაჩაღდება შეურიგებელი ბრძოლაო.

მაგრამ ეს ცალმხრივი აზრია: რომ არაფერი ყოფილიყო საერთო კლასთა შორის, შეუძლებელი იქნებოდა თუნდა დროებითი შერიგება, რადგან შემაერთებელი ნიადაგი არ იქნებოდა.

მაშასადამე, ამის შემდეგ ველარავინ იტყვის იმას, დღემდის რომ ამბობდენ, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არა არის-რა საერთოო. და თუ კიდევ ვინმე ამის თქმას გაბედავს, ალარაფერს დაუჯერებენ მას.

მართლაც, განა საფრანგეთის ბურჟუასა და პროლეტარს თანასწორად არა სწადიათ, განდევნონ შემოსეული მტერი თავისი სამშობლოდან?! განა ბელგიელი მუშა და კაპიტალისტი ერთსა და იმავე ტანჯვას არ განიცდიან, მათი სამშობლო რომ მტერს უპყრავს ხელში?! განა ბურჟუას უფრო უყვარს, ვიდრე პროლეტარს, სამშობლო?! ცხადია, არა!

მაშ რა აერთებს ყველა კლასს, რა ქმნის მათ ერთ ერად? საერთო, შეთანხმებული, მოწესრიგებული მუშაობა კულტურისა და განათლების ასპარეზზე და საერთო სიყვარული თავის თანამემამულეთა და მიწაწყლისადმი.

და ეს არ არის ინტერნაციონალიზმის უარყოფა. ჩემი ძმა რომ უფრო მიყვარდეს, ვიდრე სხვა, ეს სრულიადაც არ მოასწავებს, ვითომ სხვა მძულდეს. პირიქით, სხვაც მიყვარს, თუმცა ჩემიანი კიდევ უფრო მიყვარს. სიყვარულისაგან კი არაოდეს არ დაიბადება მტრობა!

ყველამ იცის, მაგალითად, რომ ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი, რუსი, ქართველი, სომეხი, ურია და სხ. განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათითა და ტემპერამენტით, ზნითა და ჩვეულებით, ენითა და კულტურით. ამიტომ ფრანგი ფრანგთან უფრო მოილის, ფრანგს უკეთ შეურიგდება და შეუთანხმდება, ვიდრე სხვას, და, მაშასადამე, ფრანგთან უფრო ადვილად და ნაყოფიერად ითანამშრომლებს, ვიდრე სხვასთან. რა-ღა შორს წავიდეთ: განა იმავე მიზეზის გამო ქართველი ქართველს უფრო არ ურიგდება, ვიდრე სომეხს ან ებრაელს მუშაობის დროს? და განა იმავე მიზეზმა არ დაიცვა ებრაელთა ეროვნება სხვა ერთა შორის სრული გათქვეფისაგან?

დიახ! ის, რაც ეროვნნული ხასიათის თის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს, საჭიროა თანამშრომლობისათვის, მოწესრიგებულის, ორგანიული კულტურული მუშაობისათვის. კულტურასა და განათლებას ქმნიან ერები. და კაცობრიობის პროგრესი იმავე დროს ეროვნული პროგრესია.

მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, ვითომ ერთა შორის მეგობრობა, ერთობა და თანამშრომლობა არ სუფევს. როგორც კერძო პირთა, ან ინდივიდთა. თანამშრომლობა წარმოადგენს ეროვნულ მუშაობას, აგრეთვე სხვადასხვა ერის თანამშრომლობა ჰქმნის კაცობრიობის საერთო მუშაობას. ერები—კოლექტიური, შეკრებილი ინდივიდები, ან ორგანიზმები, არიან, რომელნიც კაცობრიობის ნაწილებს შეადგენენ. ამიტომ თითოეული ერი სხვათაგან მათი ნამუშევარის ნაყოფს სესხულობს და თავისი მხრით სხვებს თავისას უზიარებს. მაშასადამე, ერთა შორის ისეთივე მუდმივი კულტურულ-სოციალური მიმოცვლა სუფევს, როგორც კერძო ინდივიდთა ან ინდივიდის ორგანოთა შორის. მხოლოდ თითოეული ერი სხვათაგან ნასესხებს თავისებურად გარდაქმნის და განავითარებს ხოლმე იმგვარადვე, როგორც თითოეული ინდივიდი ან ინდივიდის ორგანო.

მაშასადამე, ერის თავისუფალი განვითარება საფუძვლად უდევს ინდივიდთა თავისუფალ თანამშრომლობას, რომელიც თავისი მხრით არის ქვაკუთხედი კაცობრიობის პროგრესისა, წინ-სვლისა. და ეროვნების თავისუფალი ზრდის შეფერხება—კაცობრიობის უკან დახევაა. ამგვარად იქვე მოვედით, რაზედაც წინა წერილში შევჩერდით: ნაციონალისტი—იგივე ინტერნაციონალისტია.

სამწუხაროდ, სიტყვას „ნაციონალისტი“ სახელი გაუტეხეს, რადგან სრულიად სხვა, შეუფერებელი დედა-აზრი მიაწერეს. „ნაციონალისტს“ უწოდებენ იმას, ვინც მტერია ერის თავისუფალი განვითარებისა! მაგრამ ეს ხომ იმასა ჰგავს, თეთრს შავი უწოდო და შავს თეთრი! დროა, უკუვაგდოთ ძველი, დახავსებულ-დაჟანგებული ტერმინოლოგია!

რუსეთის შესანიშნავი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ბაკუნინი უარყოფით უყურებს ეროვნებას, რომელიც მას ზოოლოგიური განვითარების შედეგად, ე. ი. ზოოლოგიურ კატეგორიად მიაჩნია. მაგრამ აქ მას, ცხადია, დიდი შეცდომა მოუვიდა. ჯერ ერთი, ყველაფერი, რაც კი კარგი და სასიკეთოა, არ არის უარსაყოფელი მხოლოდ მიტომ, რომ ის ზოოლოგიურია, ე. ი. ცხოველთა სამეფოს მოვლენათა კათეგორიას ეკუთნის. მეორე, ეროვნება—სოციალური მოვლენაა და არა ზოოლოგიური, რადგან სოციალური თანამშრომლობის ნიადაგზე განვითარდა. და, მესამე, ბაკუნინი რომ ამბობს, ეროვნული სხვადასხვაობა შობს ერთა შორის ულმობელ ბრძოლასაო, მასავიწყდება, რომ მაგიერად იგივე ეროვნული სხვადასხვაობა შველის საკაცობრიო შრომის განაწილებასა და სოციალურ თანამშრომლობას. და, თუ კაცობრიობას, როგორც თითოეულ ადამიანს, ბევრი რამე ზოოლოგიური აქვს მემკვიდრეობით ნაანდერძევი, ამიტომ იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ, რომ ადამიანში, რაც კარგია, ყველაფერი აღმოვფხრათ, არამედ პირიქით, მხოლოდ ის უნდა მოვსპოთ და ამოვაგდოთ ძირიან-ფესვიანად, რაც კი ავია და უკეთური.

გავიმეორებ: იმის თქმა, ვითომ პროლეტარსა და ბურჟუასა ან ღარიბსა და მდიდარს შორის არაფერია საერთო,—ყოვლად შეუწყნარებელია.

აქიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ განხეთქილება და განცალკევება საერთო ნიდაგზე—დამღუპველია ეროვნული თავდაცვის საზრისით.

პირიქით, როდესაც საქმე სამართლიან ბუნებრივსა და ისტორიულ უფლებას შეეხება, ყველა კლასი ერთად უნდა იყოს, ერთსულოვნობით უნდა მოქმედებდეს.

გარეშე მტერთან ომის დროს კლასთა ბრძოლა საშინელ განსაცდელს უმზადებს ეროვნული თავდაცვის საქმეს. ეს არის მიზეზი, დღევანდელ ომში რომ თითოეული მებრძოლი ერის ყველა კლასი შეერთდა, და არა ის, ვითომ პროლეტარები თავისდაუნებურად, იძულებით ჩაებენ ომში, როგორც „ახალი აზრის“ სოფისტები გვეუბნებიან! სოფიზმი კი, როგორც ვიცით, მხოლოდ მაშინ პოულობს ნიადაგს, როდესაც სიმართლეს ფასი აღარ აქვს და პოლიტიკური აზრი დაცემულია.

აგრეთვე სახალშენო ეკონომიურ პოლიტიკაში თითოეული ერის ყველა კლასი ერთად უნდა იყოს და არის ყველგან, სადაც კი ეროვნულ გადაგვარებას ხალხისათვის გული არ გაუტეხია და თავის თავზე ხელი არ აულებინებია. მხოლოდ ქართველი სოციალისტები უარყოფენ ქართულ ეროვნულ სახელშენო პოლიტიკას და ამცირებენ და განგებ კრუნჩ-

ხავენ საქართველოს ტერიტორიის ისედაც მცირე ფარგალს.

სახალხო განათლება თანასწორადვე საჭირო და სასარგებლოა ყველა კლასისათვის, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით არის შესაძლებელი ერის კულტურისა და განათლების დაწინაურება.

მეურნეობისა, ხელოსნობისა და ტეხნიკის განვითარებაც თანასწორადვე უნდა აინტერესებდეს მუშასაცა და ბურჟუასაც, რადგან უამისოდ ეროვნული კაპიტალი უცხო კაპიტალს ცილობას ვერ გაუწევს და მთელი ერის, როგორც ბურჟუაზიის, აგრეთვე პროლეტარიატის მდგომარეობა დაქვეითებული იქნება.

ამასთანვე პროლეტარიატისთვის სულ ერთი არ არის, როგორც დღემდის გაიძახოდენ „დასელები“, როგორი იქნება ბურჟუაზიის შედგენილობა: ეროვნული ბურჟუაზია მისთვის აუცილებელია, რადგან უცხო ბურჟუაზია მას თავის ქარხნებში არ შეუშვებს და მის მაგიერად თავის ეროვნულ პროლეტარიატს შეიხიზნებს! ამიტომ პროლეტარიატმა თავისი ბურჟუაზია ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს, რომელიც ეკონომიური ცილობის დროს გამარჯვებას უცხო ბურჟუაზიას მიანიჭებს. და ამ მხრით მას დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რადგან მოუფიქრებლობა ხელიდან გამოაცლის ნიადაგს, რომელიც მას ასაზრდოებს, და ბაზარს მთლად გამოაცლის ხელიდან. კიდევ ბევრი რამეა საერთო პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, მაგრამ, რაც აღვნიშნეთ, ისიც კმარა იმ ცრუ აზრის უარსაყოფელად, ვითომ მათ შორის სრულიად არაფერია საერთო და მარტო გაუვალი და უძირო უფსკრულია ამოთხრილი!

ვფიქრობ, ამ დიადმა ომმა ბოლო უნდა მოუღოს ეროვნული წინსვლის ამ შემაფერხებელ ცრუ რწმენას, რომელსაც „სანდონები“ ამდენ ხანს ასეთი ფანატიკური ჟინიანობით ჰქადაგებდენ.

მაგრამ იმავე დროს არც მეორე უკიდურესობამ და ცალმხრივობამ უნდა გაგვიტაცოს და, მაშასადამე, არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ ისტორია კლასთა თანამშრომლობასთან ერთად კლასთა ბრძოლასაც აწარმოებს. და, თუმცა კლასთა ერთმანეთთან დამოკიდებულება თანდათან უფრო ადამიანური შეიქნა, მაგრამ დღესაც იმდენად მწვავეა, რომ მისი სასურველად მოწესრიგება—ერთი უდიდესი თანამედროვე სოციალური პრობლემათაგანია და არავის არ შეუძლია თქვას წინდაწინვე გადაჭრით, როდის და როგორ გადაწყდება საბოლოოდ ეს საჭირბოროტო საკითხი! მისი უახლოესი მოწესრიგების შესახებ კი ჩვენი აზრი და შეხედულობა მკითხველისთვის არა ერთხელ გაგვიზიარებია და, რაც გვითქვამს, მას არაფერს დავუმატებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი თანაგრძნობა ერის მდაბიო უმრავლესობისაკენ არის. და, ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებას თუ თანავუგრძნობთ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს სასარგებლოა ამ უმრავლესობისათვის. ამიტომ, როდესაც ბურჟუაზიის გაუმაძღარი მადა და რეაქციონური პოლიტიკური მიდრეკილება წინ ეღობება ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ უფლებას, მაშინ ჩვენ ვუპირდაპირდებით ბურჟუაზიას, როგორც მოპირდაპირე დემოკრატია.

**ვასილ წერეთელი.**

---

**ლანჩხუთი.** დიდათ დაგვამწუხრა სახელმწიფო სათათბიროს წევრის, ვარლამ გელოვანის გარდაცვალებამ.

დავით გოგიჩაიშვილი, კოკი ებრალიძე, ი. ჯარმენაძე, შალვა გუგუშაძე, კოლია ებრალიძე, დუკა ურუშაძე, ტრიფონ ებრალიძე, ლიუბა ჩხარტიშვილი, ალიოშა ჯაყელი, გიორგი ბახტაძე, ვალოდია ებრალიძე და ნინა მგელაძე.

---

### ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

ივერიის მოწყენილ, მგლოვიარე ცის კაბადონსა კვლავ მწუხრის ზეწარი გადაეფარა...

მწუხარე, დავრდომილ, ცრემლებ შეუშრობელ კოლხეთის ასული ქართველთ უბედობას დაჰქვითინებს... კვლავ თავის ბედკრულ სამშობლოს ღირსეულ შვილის დაკარგვაზე მოსთქვამს...

საქართველოს გლოვის ზარებსა კვლავ ჩამოჰკრეს... და თავის გულშემზარავ გუგუნით ამცნეს ქართველ ერს, მისი მოსარჩლის, სამშობლოს უფლებისათვის, უშიშარი მებრძოლის ასე უდროოდ დაკარგვა!..

მოკვდა. დადუმდენ მეტყველი ბაგენი!..

აღარ გვყავს ის, ვინც მთელი თავისი არსებითა და გონებით საქართველოს ისტორიით დამსახურებულ უფლებებისთვის მედგრათ იბრძოდა!..

აღარ ციმციმებს საქართველოს პოლიტიკურ ცაზე ის სხივოსანი ვარსკვლავი, რომლისაკენ მიმართულიყო ქართველთ გრძნობა და ყურადღება...

აწ ვერ მოვისმენთ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ჩვენი მოსარჩლე ვარლამის მქუხარე, „ცეცხლის სიტყვებს“ ტანჯული ერის დასაცველად..,

აწ განისვენე ღირსეულო ქართველო ვარლამ!..

დასაბამიდან შენი ცხოვრება ბრძოლა და ტანჯვა იყო და მათშივე დალიე შენი უკანასკნელი დღენი...

საუკუნოთ დარჩება შენებრ დევნილ და ღირსეულ შვილთა ხსენება ჩაგრულ ერის გულში!..

სტუდენტი დავ. ბზიავა.

---

## წერილი

### ბრძოლის ველიდან!

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშვალებით ვაცნობო ოკრიბის საზოგადოების მცხოვრებს გიორგი გაბრიაძის მშობლებს, რომ შვილი მათი გიორგი მსახურებდა ჯარის კაცათ ჩემთან ერთათ ხარკოვში, ბრძოლის ველზედაც ერთად გაველით, მხოლოთ სხვადასხვა პოლკებში ვიყავით. შვიდ თებერვალს გიორგისთან ერთათ პოლკში მოსამსახურე ამხანაგ გიორგობიანისაგან მივიღე შემდეგი შინაარსის წერილი: „ძმაო მიშა, უბედურება გვეწვია, ჩვენი გიორგი მოგვიკლეს, მტრის ზარბაზნის ტყვიის ნატეხი მოხვდა. დავმარხეთ საერთო საფლავში, თუ ამოხვალ გაჩვენებ მის საფლავსო.

განსვენებული სამი კვირის წინეთ ჩემთან მოვიდა, რადგან მათი პოლკი რეზერვში იყო, და როდესაც გაიგო რომ ისევ პოზიციას იკავებდენ დამიბარა, „ხარკოვის ერთ ერთ ბანკში ფული მაქვს შენახული და თუ მომკლან მშობლებს აცნობეო“.

რამდენადაც ვიცი საბუთი ფულების შენახვისა თავის ხაბაკთან ერთათ ხარკოვში უნდა ქონდეს დატოვებული. ადრესს გავიგებთ და ვაცნობებთ.

განსვენებული გიორგი აფთიაქის მოწაფე იყო, ჯარში რომ გამოიყვანეს, სამსახურის დროს ჩაიბარა გამოცდები პროვიზორის თანაშემწეობისა, შრომის მოყვარე და ენერგიით სავსე იყო.

ხარკოვის გარნიზონის ქართველები ბრძოლის ველზე მყოფნი, გულ დათუთქული ძვირფასი ამხანაგის დაკარგვით, ვიზიარებთ მწუხარებას გიორგის მშობლებისას.

ამხანაგების მონდომილებით; ჯარის კაცი **მ. გოცირიძე**

8 თებერვალი 1915 წ. ბრძოლის ველი.

---

## სიტყვა

**წარმოთქმული მღვდლის მიხეილ ბუჩაძის მიერ ქალაქ ქუთაისში 26 თებერვალს დეპუტატის ვარლამ გელოვანის ცხედრის წინაშე.**

საწერებში, მაცხოვარმა, ერთ ადგილას სთქვა „წინანი უკანა და უკანანი წინა“,

თუ ცხოვრების ჩარხის ტრიალს დაუკვირდებით ეს საღვთო სიტყვები მარტო ზეციური სასუფეველის მაძიებელთ არ ეკუთვნის, ეს სიტყვები არც მარტო კერძო პირებს—ცალკე ინდივიდუმს შეეხება, ამ სიტყვებს ქვეყნიური—პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს და მთელი სახელმწიფოების და ხალხების ბედ იღბალს შეიცავს.

იყო დრო, როდესაც ჩვენ ტურფა ქვეყანას მსოფლიოში საპატიო ადგილი ეჭირა. იყო დრო, როდესაც საქართველოს ოქროს ხანა ჰქონდა და ბრწყინვალე თამარი განაგებდა. იყო დრო, როდესაც დიდი ბიზანტია—განათლებული საბერძნეთი—საქართველოს მეგობრობასა და ძმობა ამხანაგობას ნატრობდა. იყო ის დროც, როდესაც ფრიდრიხ დიდმა სთქვა: „ევროპაში მე ვარ და აზიაში კი ერეკლე მეორეო“.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველომ თავის დიდება და სახელი დაკარგა, ამის მიზეზი ჩვენი ქვეყნის გამგეების ჩრდილოეთისაკენ ცქერა იყო. სამუსულმანო ქვეყნები საქართველოს ურჩევდენ, რომ ჩრდილოეთისაკენ ცქერისათვის თავი დაენებებია და პირი მათკენ ებრუნა, მაგრამ ამ რჩევამ ამაოდ ჩაიარა და რუსეთმა კავკასიონი გადმოლახა.

დიდიხნის მოლოდინის შემდეგ ამ დუხჭირმა დრომ განვლო და საქართველოს ცასაც ოდნავ მოშორდა ნისლი და ღრუბელი. დაწესდა სათათბიროს ტრიბუნა, საიდანაც შესაძლებელი გახდა ყველა ერების ჰირ ვარამზე საჯაროთ ლაპარაკი და მსჯელობა. ჩვენდა სამწუხაროთ პირველ ხანებში საქართველომ ვერც ამ დაწესებულებით ისარგებლათ სავსებით, მიტომ, რომ ჩვენმა წარმომადგენელმა საქართველოს ტკივილები საქვეყნო ტკივილებში გათქვიფეს. აი ამ დროს გაისმა მკაფიო და მედგარი ხმა სათათბიროს ტრიბუნიდან აწ უკვე ჩვენი ძვირფასი მიცვალებულის ვარლამ გელოვანისა.

ყოველივე ეს განაცხადა მოქალაქობრივი გამბედაობით.

მე მრწამს, რომ მისგან დათესილი თესლი არ მოკვდება და საქართველო კოხტა და ტურფა ადგილს დაიჭერს თავისუფალი ახალი რუსეთის ხალხთა შორის და ისევ წინ წადგამს უკან დახეულ ნაბიჯს და მადლიერი საქართველო არ დაივიწყებს მის ერთგულ ქომაგს ვარლამ გელოვანს.

## სიტყვა,

**წარმოთქმული ვარლამ გელოვანის ნეშტის წინაშე.**

ბატონებო! მდუღარეს ცეცხლის შეკეთება აღარ უნდა. უზომო და უსამზღვრო მწუხარებას გაზვიადება აღარ სჭირია!

მე მინდა მოგაგონოთ მხოლოდ ერთი ამბავი, ერთი ეპიზოდი ვარლამის ცხოვრებიდან და იმედი მაქვს, რომ ამ ამბავის მოსმენის შემდეგ, თქვენც ისეთ დასკვნას გამოიტანთ, როგორ დასკვნასაც ვადგივარ მე.

ამ უკანასკნელ ხანებში, იმ დროს, როცა ვარლამი დასავლეთ ფრონტზე იყო, ასეთ ამბავს გადაეყარა.

მოდის ერთხელ იგი აოხრებულ პოლონეთის შარა გზაზე და მისმა ეტლმა ცოტა მოშორებით ჩაუარა ერთ დანგრეულ სახლს.

ამ სახლიდან ვარლამს საშინელი კვნესისა და გმინვის ხმა შემოესმა.

მაშინათვე გააჩერებინა ეტლი და მხლებელი გაგზავნა ამბის შესატყობათ.

შეაღო თუ არა მხლებელმა სახლის კარები, გაშტერებული დარჩა.

აოხრებული სახლის ოთახები დაჭრილებით იყო სავსე.

სჩანდა, რომ მტრის მომლოდინე ჯარს ვეღარ მოესწრო დაჭრილების წაყვანა და ღვთისანაბარა მიეტოვებინა.

დაჭრილები ერთი ერთმანეთზე ეყარენ და ერთი მეორეს თავზე აწვა. ისმოდა კბილთა ღრჭენა და წყევლა-კრულვა ათას ენაზე, ათას გვარის ხმით.

ამ სურათით შეძრწუნებულმა და თავზარ-დაცემულმა ვარლამმა მიაშურა მახლობელ ქალაქს, შესძრა მთავრობა, წამოიყვანა ხალხი, წამოასხა ურმები და მთელი დღე ეზიდებოდა დაჭრილებს.

ამ დაჭრილთა შორის ბევრი ქართველიც ერია და ვარლამის მოქმედებამ აღაფრთოვანა, გაამხნევა იგინი.

— ვინა ხართ თქვენ, ბატონო, რომელმა ანგელოზმა გამოგგზავნათ?—შეეკითხა ერთი მძიმედ დაჭრილი ქართველი—(გურული), რომელიც თვით ვარლამმა აიყვანა ხელში და დიდის მზრუნველობით დასდო ურემზე...

— მე ქართველი ვარ, ჩემო მეგობარო, მშვიდობაა, მორჩები, ჩამოხვალ სამშობლოში და მაშინ გაიგებ ვინცა ვარო—უპასუხა ვარლამმა.

— ვინ იცის კიდევ მეღირსება ჩემი სამშობლოს ნახვა... მიუხარით გვეაყუ, თქვენი სახელი... აღარ ისვენებდა დაჭრილი გურული. ბოლოს ჩაფიქრდა და თვითონვე ჰკითხა...

— თქვენ გელოვანი ხომ არა ხართო?

— დიახ... ვარლამ გელოვანი ვარო!.

— ღმერთო მომკალ! დაიყვირა დაჭრილმა.—ვინ იცის რამდენჯერ მიგინებიხარ,... რამდენჯერ დამიძახია შენთვის შანტაჟისტი... ქვეყნის მოღალატე... კაცი კი თურმე შენა ყოფილხარო...

არ ვიცი რა უპასუხა ამ დაჭრილს ვარლამმა, მაგრამ, როცა, თავის ქვეყნის წინაშე ვალ-მოხდილ უსულო ვარლამს ვუყურებ, მე მწადიან, მე მინდა ახლა, ამ წუთში აქ გაჩნდეს ის დაჭრილი და დაწყლულებულმა, უცხოეთში ჭირნახულმა და სისხლით განბანილმა ამცნოს ბევრს ჩვენთაგანს თავისი შეცდომა, თავისი ცალმხრივობა, თავისი თავ-დავიწყება და ის უდიერობა, რომლითაც ვუმასპინძლდებით ერთმანეთს ჩვენ—ერთის დაძაბუნებული და ყველასაგან დაბრიყვებულ, დედა—საქართველოს შვილები!...

მე მინდა... მე მწყურია... სისხლის ცრემლებით შევსთხოვ ყველას, რომ.. ამიერიდან მაინც მოისპოს შხამი და გესლი დანთხეული ჩვენ მოღვაწეთა სავალ გზაზე.

მე მინდა... მე მწყურიან, შეიგნოს დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა ძალა ერთობისა, ძალა სამართლიანობისა, ძალა კაცთმოყვარეობისა...

მე მინდა... მე მწყურიან შეიგნოს თითოეულმა ქართველმა, რომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა, ჩვენი სიცოცხლის მომნიჭებელი, ჩვენი **მხსნელი** მხოლოდ ჩვენი ეროვნული თვით-არსებობის დაცვა და განმტკიცებაა,—ჩვენი მხსნელი სწორედ იმ ნატვრის განხორციელებაა, იმ უფლების აღდგენაა, რომლის შესახებაც ასე თამამად, ასე ვაჟკაცურად, ასე თავგამოდებით ილაპარაკა ვარლამმა რუსეთის პარლამენტის კათედრიდან...

უამისოდ გაგვიმწარდებიან დღენი ჩვენის სიცოცხლისა,

ჩვენ თუ ჩვენ თავს არ მოვუარეთ... ჩვენ თუ მადლიანი ძუძუები რძით არ ავუვსეთ ჩვენს ბებერ-დედა—საქართველოს შვილნი ჩვენნი დაინაკებიან და ბოლოს, გაჰქრებიან კიდეც დედამიწის ზურგიდან.

ქართველ ერს-კი სიცოცხლე სწყურია და უნდა იცოცხლოს კიდეც!!..

შენ კი, ძვირფასო ვარლამ, განისვენე მშვიდათ...

შენი სახელი უკვდავი იქნება ჩვენში ისე, როგორც უკვდავია ოცნება და სურვილი საქართველოისა, რომლის განხორციელებასაც შესწირე შენი ნორჩი და გაუფურჩქნავი სიცოცხლე!

**ია ეკალაძე.**

---

## ნარკვევი.

„სახალხო ფურცლის“ სამხედრო მიმომხილველი ბ. ი. გე—ვა—ლი დარდანელის საკითხის შესახებ სწერს:

„კერძოთ ჩვენ, საქართველოსათვის და მთლად კავკასიისათვის დარდანელს, როგორც ჰიშკარს შავი ზღვისას, დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდს გავლენას იქონიებს მისი მომავალი ბედი ჩვენს მომავალზე. თუ ბედმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა, ჩვენმა ქვეყანამ ოდნავ მაინც ამოისუნთქა და მისმა მწარმოებელმა ძალებმა ფრთა გაშალეს და განვითარდენ, მათი ნაშრომის გასასაღებლად ბუნებრივი გზა სწორედ დარდანელისაკენ იქნება. ასე რომ დარდანელის ბედი კერძოდ ქართველებისათვის მეტად საინტერესო არის.

დღეს არ ვიცით, ვის ჩაუვარდება ხელში ეს ძვირფასი კარი, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ადრე თუ გვიან, რუსეთი, სულ ერთია, დარდანელის საკითხს დაუბრუნდება და მის ხელში ჩაგდებას შეეცდება, რადგანაც ეს მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს; არა მარტო ისტორიული ტრადიციების და რაღაც მისტიურ მისწრაფებით, არამედ წმინდა რეალურ ინტერესების მიხედვით. სამხრეთი რუსეთი და კავკასია დიდს ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს და როდესაც ეს ქვეყნები სათანადოდ განვითარდებიან და ფართო კაპიტალისტურ მეურნეობას შეუდგებიან, მათთვის შავ ზღვას და დარდანელის სრუტეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა, ვიდრე რუსეთი ძლიერი სახელმწიფო არის, იგი თავს არ დაანებებს დარდანელს. რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ამ ჟამად ვის [illegible] დანელი. თუ იგი ნეიტრალურ ტერიტორიად გამოაცხადეს [illegible] სრულიად ხელსაყრელი არ იქნება. მისთვის უმჯობესია, რომ დარდანელი, თუ კი თვით მას არ ერგო, ისევ ოსმალეთს შერჩეს, რადგანაც მომავალში რუსეთი უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში სრუტეს, თუ რომელიმე ბალკანეთის სახელმწიფოს არგუნეს დარდანელი, მაგ. ბულგარეთს ან საბერძნეთს, არც ეს იქნება რუსეთისათვის მისაღები, რადგანაც არც ერთს ამ სახელმწიფოსთან მას ხმელეთზე საერთო საზღვრები არა აქვს და, მაშასადამე, კიდეც რომ მოინდომოს ოდესმე დარდანელის წართმევა, ეს თითქმის მოუხერხებელი საქმე იქნება.

მაშასადამე თუ კი ახლა თვითონ რუსეთი ვერ მიიღებს დარდანელს, ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ იგი კვლავ ოსმალეთს შერჩეს, ან და თუ მაინცა და მაინც დარდანელი რომელიმე ბალკანეთის სახელმწიფოს არგუნეს, ან ნეიტრალურ ტერიტორიად გამოაცხადეს, რუსეთმა საკომპენსაციოდ ისეთი რამ უნდა ჩაიგდოს ხელში, რაც მომავალში გაუადვილებს იმავე დარდანელის ხელში ჩაგდებას. შავი ზღვის მხრით დარდანელი უფრო ადვილი ასაღებია, ვიდრე ეგეის ზღვის მხრით. ოღონდ ხმელეთით საჭირო ტერიტორია უნდა ჰქონდეს დესანტის გადასასხმელად. ასეთ ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს ანატოლიის ჩრდილოეთი ნაპირები, ლაზისტანი, ტრაპიზონის, რიზას და ბრუსას ვილაიეთების ჩრდილოეთი ნაწილები. ამ ტერიტორიას განსაკუთრებული სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ვინც აქ გაბატონდება, იგი მთელი მცირე აზიის მბრძანებელი გახდება, ბოლოს და ბოლოს იგივე ჩაიგდებს ხელში დარდანელსაც. ამ მხრივ ამ ტერიტორიას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს აზრუმის, ვანის და ურმიის ვილაიეთებზე. უკანასკნელი ტერიტორიების დაპყრობა ოდნავადაც არა სწყვეტს რუსეთისათვის ახლო აღმოსავლეთის საკითხს და თუ არჩევანი მოხდა, რა თქმა უნდა, უპირატესობა შავი ზღვის ნაპირებს მისცემს, რადგანაც ეს უკანასკნელი ტერიტორია მთელი ახლო აღმოსავლეთის გასაღებია.

---

## ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა თბილისს სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვარუნ სეკრეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ქუთაისის მცხოვრებლების მაგიერ, ბედნიერი ვარ მოგიძღვნათ თქვენ გულითადი მადლობა იმ ყურადღებისა და თბილი გრძნობისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენს ნაციონალურ გლოვაში, უდროვოთ გარდაცვალებულის, სახელმწიფო სათათბიროს წევრის, თავად გელოვანის გარდაცვალების გამო.

✦ დეპუტატ გელოვანის კუბოს ამკობდა 48 სხვადასხვა გვირგვინი. მათშორის 7 ვერცხლისა იყო.

პრესისა და სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლებმა ცხედარი ფერმიდან ექვსი ვერსის მანძილზე გააცილეს.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ქალაქის გამგეობას სთხოვს, დააჩქაროს ეგრეთწოდებული „საძმო სასაფლაოს“ მოწყობა, ომში დაღუპულ ჯარისკაცთა დასამარხავათ.

✦ პირველი მარტიდან, ქუთაისში გამოცემა.

✦ დღეს, 28 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა ქალაქის განათება.

როგორც გორიდან გვწერენ, გორის ქალაქის მოურავს კავკასიის ქალაქების კავშირისაგან 5,000 მანეთი მიუღია გორში ლაზარეთების მოსაწყობათ.

✦ გუშინდლისთვის დანიშნული საუბარი ალ. შანშიაშვილის ახალი პოემა „ქალი გრძნეულის“ შესახებ შესდგება სამშაბათს, 3 მარტს, რადგანაც გუშინ ყველა გამოცხადებულ მონაწილეს არ შეეძლო დასწრება, ვინაიდან თავმჯდომარე კიტა აბაშიძე და სხვ. ნიც დეპუტატი გელოვანის ცხედარს გაყვნენ დაკრძალვაზე დასასწრებლად. სამშაბათს საუბარი მოხდება ყველა გამოცხადებულ მონაწილეთა თანადასწრებით. პოემის მოკლე შინაარსს ხვალ დავბეჭდავთ.

✦ 3 მარტს, „გრძნეული ქალის“ სალიტერატურო კამათში, სხვათაშორის მონაწილეობას მიიღებს პ. იაშვილიც.

✦ მდგომარე 1915 წლის ქალაქის ხარჯთაღრიცხვას ქალაქის საბჭო მომავალ კრებაზე განიხილავს.

კავკასიის მთავარმა სამოსწავლო მთავრობამ ნება დართო ქუთაისის ყველა სა-

სავაჭრო სახლი
„ი. გოგიძლოვის შ—ბის“
ქუთაისში
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ნ. ხრისტოდულიდის მიღებულია.
ვინც თესლს შეგვიკვეთს პირველ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ყუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

შუალო სასწავლებლის მოსწავლეებს, გამწკრივებულიყვნენ ქუთაისის სადგურიდან საკრებულო ტაძრამდი, დეპუტატ ვარლამ გელოვანის ნეშთის გამოსვენების დროს, დღის პირველ საათზე, გარდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლისა, რომლის მთავრობასაც ნება ეძლეოდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში თავის შეხედულებისამებრ.

ამ განკარგულების შესახებ 26 თებერვალს საგანგებო დეპეში მიიღეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა ბ. კოტილევსკიმ და ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა სამოსწავლო მზრუნველის მოადგილის სლავინსკისაგან.

✦ „თემის“ რედაქტორი ბ-ნი გ. დიასამიძე, რომელიც ლეჩხუმს გაჰყვა დეპ. ვ. გელოვანის ცხედარს, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „თემი“ მომავალ ორშაბათს არ გამოვა. სამაგიეროთ ამ კვირია „თემი“ დაიბეჭდება 5 და 8 მარტს.

✦ როგორც დ. სამტრედიიდან გვწერენ, იქ განზრახვა ქონიათ დააარსონ წვრილი კრედიტის ამხანაგობა. წესდება დასამტკიცებლად უკვე წარდგენილია

## თეატრი.

კონსტან ანდრონი შეუდგა სობოლჩიკოვ-სამარინის Великій „грѣшник-ის“ თარგმნას, ეს პიესა რუსეთის საუკეთესო თეატრების ერთ საუკეთესო და სარეპერტუარო პიესად ითვლება. რუსულმა დასმა ეს პიესა რამდენჯერმე დასდგა ზედიზედ. პიესას საბეჭდად „იუდა ისკარიოტელი“ ერქმევა. ჩვენი დასი ამ პიესას დასდგამს აღდგომის კვირაში ორჯერ ზედიზედ.

— დღეს, საღამოს ქალაქის თეატრში შესდგება გენერალური რეპეტიცია ორიგინალური პიესის „უბედურობა“, ავტორის დ. კლდიაშვილის, თანადასწრებით

**შეცდომის გასწორება.**

აკაკი ფაღავას ფელეტონში: „სასცენო ხელოვნება“ („სამშ.“ № 21) უკანასკნელი სვეტის ქვევიდან მეათე სტრიქონში დაბეჭდილია „სრული უმეტესობა და უმცირესობა“, უნდა იყოს „სრული უგემოვნება და უმეცრება“.

## მოწერილი ამბავი.

**დ. ზესტაფონი.** ზესტაფონის საზოგადოებამ გაიგო რა დეპუტატ გელოვანის გარდაცვალება, შეუდგა მის საპატივცემოდ დახვედრას ყვირილის სადგურზე, რისთვისაც ჟანდარმთა უფროსისაგან წინა დღით ნებართვა აიღო ბ. სიხარულიძემ პანაშვიდის გადახდის შესახებ განსვენებულის სულის მოსახსენებლათ.

25 თებერვალს დიდძალმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი რკინის გზის, სადგურზე ძვირფას ადამიანის მისაგებებლად, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო და მატარებელმა თითქმის ორი საათი დაიგვიანა. მოვიდა თუ არა სადგურზე საფოსტო მატარებელი, ხალხი ქუდმოხდილი გაეშურა ვაგონისკენ, რომელშიც დეპუტატის ნეშტი ესვენა. ვაგონში შევიდა მღ. კ. ანთაძე და გადახადა პანაშვიდი მიცვალებულს. პანაშვიდზე გალობდა ყვირილის უმაღლეს დასაწყისი სასწავლებლის მგალობელთა გუნდი, ბ. დ. კელენჯერიძის ლოტბარობით. ზესტაფონის საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად გასვენებაზე დასასწრებლად გაგზავნა ბ. ი. გუნცაძე, რომელიც თფილისიდან ახლდა მიცვალებულს.

**ქ. გძელი.**

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** „არმ. ვესტნ.“ მიმოხილვა: ვისლის გაღმა რაიონში ბრძოლა სწარმოებს. პილიცის, დემბანევიცის რაიონში და ნემგლოვსკის ტყეში ჩვენი და მტრის იერიშები რიგ-რიგობით ხდება. ჩვენ აქ წამოვიყვანეთ ტყვეები და წამოვიღეთ რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი. გალიციაში ბრძოლა წინანდებური სისასტიკით სწარმოებს. 23-სა და 24 თებერვალს ავსტრიელებს გორლიცა-სენკოვის მთელ ფრონტზე იერიში მოქონდათ, მაგრამ მტერი ყველგან შევაჩერეთ. მტერი უფრო თავდავიწყებით მეზოლაბორჩისა და უჟოკის მხარეზე იბრძვის. 23 თებერვალს, რაბბე-რამელოვო, სმოლნიკ-ტარნოვო და სოკოლიკის რაიონებში მტერმა განმეორებით იერიშები მოიტანა. ამ იერიშების დროს მტერმა ძლიერ დიდი ზარალი ნახა. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 7 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. 24 თებერვალს მტერმა მხოლოდ ტარნოვოსთან მოიტანა იერიში, რომელიც მათი დამარცხებით დასრულდა.

რამელოვოსთან შეტაკების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 3 აფიცერი და 200 ჯარისკაცი. 25 თებერვალს, სოკოლიკის რაიონში მტერი კვლავ შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხია. გარმაროშის მხარეზე მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** 26 თებერვალი. შედარებით წყნარმა და კარგმა ამინდმა ორივე მოწინააღმდეგეს ხელი შეუწყო, მოგვცა საჰაერო დაზვერა.

პოზიციებზე დაფრინავდა და ირეოდა მრავალი რიცხვი ჰაეროპლანისა და დირიჟაბლისა. „ილია მურომეცის“ ტიპის ჰაეროპლანებიც იღებდენ მონაწილეობას დაზვერვაში. ოსოვეცში მტრის ავიატორებმა ჩამოყარეს ოცი პატარა ყუმბარა, რომელთაც არავითარი ზიანი არ მიუყენებით ქალაქისათვის. ვისლის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ვერჟბოვოსთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის მთლათ ახალი ჰაეროპლანი ორის მფრინავით. პილიცის რაიონში ჩვენმა მფრინავმა კაპიტანმა კრავცევმა იერიში მიიტანა და გააქცია გერმანელების აეროპლანი, რომელმაც მოასწრო და თავის ჯარებს თავი შეაფარა. ზოგიერთ ადგილებში მტერმა ჰაეროპლანებიდან ჩამოყარა ცეცხლის გამჩენი ყუმბარები, თუმცა ცეცხლის წაკიდება ვერ მოახერხა. კარგმა ამინდმა მტერს საშუალება მისცა, ჰაეროპლანით ჩვენი პოზიციები დაეზვერა, რის შემდეგაც მტერმა საარტილერიო სროლა გამართა. ჩვენს პოზიციებზე ცვიოდა სხვადასხვა ხარისხისა და ყალიბის ყუმბარები.

**პეტროგრადი.** 26 თებერვალი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 25 თებერვლამდი შესანიშნავი ბრძოლა არ მომხდარა. ჭოროხის მხარეზე ერთმანეთს თოფიდან ესვრიან.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 25 თებერვალი. ბელგიაში გერმანელები შეუჩერებლივ უშენენ 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებს ნიუპორს. ლისანსა და ლაბასეს შუა ინგლისელები იმარჯვებენ. მათ არტილერიის სროლით აიღეს სოფ. ნანშაპელი და წაიწიეს ამ სოფლიდან ჩრდილო—აღმოსავლეთით. ინგლისელებმა აქიდან ტყვეთ წამოიყვანეს 1000 გერმანელი, მათ რიცხვში რამოდენიმე აფიცერია, წამოიღეს აგრეთვე მრავალი ტყვიისმტყორცნელი. გერმანელების დანაკარგი აურაცხელია. შამპანიაში მტერმა ჩვენ ჯარზე მოიტანა რამდენიმე სასტიკი იერიში. 25 თებერვალს მთელი დღისა და ღამის განმავლობაში მტერმა ვერ შესძლო ჩვენი პოზიციებიდან დაძვრა. მაასის მარჯვენა მხარეზე ჩვენ დავანგრიეთ მტრის რამოდენიმე თხრილი. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**გერმანიის წყალქვეშა ნავის დალუპვა.**

**ლონდონი.** 25 თებერვალი. დამატებითი ცნობები. გემმა „არიელმა“ ჩაძირა გერმანიის წყალქვეშა ნავი „У 12“. კამანდის 28 კაცისგან გადარჩა მხოლოდ 10 კაცი.

**კენგაზი.** 21 თებერვალი. გეფატის ახლო, მდინარე გამჟასთან იტალიელებმა გაჰფანტეს მეამბოხეთა ბრბო, რომელსაც მოუკლეს 159 კაცი, და მრავალი დაუჭრეს. იტალიელებს მოუკლეს 1 აფიცერი და 3 ჯარისკაცი. 5 აფიცერი და 4 ჯარის კაცი დაჭრილია.

**ვასილკოვი.** (კიევ. გუბერ.) გონჩარუკის საქმის გარჩევა გრძელდება. მოწმების ჩვენებით თანდათან ირკვევა მისი დანაშაულობა.

**ციურიხი.** „ციურიხსციეტუნგის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ავსტრიის მოლაპარაკება იტალიასთან ტრიენტის დათმობის შესახებ უკვე დაიწყო. მოსალოდნელია შეთანხმება.

**ადესა.** 25 თებერვალი. ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოებამ საბერძნეთის ყოფილ მინისტრს ვენიზელოს დეპეში გაუგზავნა, სადაც საზოგადოება მწუხარებას გამოსთქვამს მისი გადადგომის გამო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

იტყობინებიან, რომ ამ დღეებში ვილჰელმი ლოვიჩში იყო და ეკლესიაში მღვდელმსახურების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ჯარს მოუწოდებდა ყოჩაღათ გადაეტანათ ყოველნაირი გასაჭირი.

— —

ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ ზეებრიუგეში 20 წყალქვეშა ნავი მოვიდაო.

— —

გერმანიის დიდმა სიმაგრეებმა ექსლიაშაპელზე გაიარეს.

— —

„ბირჟ. ვედ.“-ს კოპენჰაგენიდან დეპეშით ატყობინებენ: ბერლინში მოუთმენლათ მოელიან საბერძნეთის კრიზისის რით გათავდება. პრესსა სწამს, რომ საბერძნეთის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ბალკანეთისათვის, იტალიისთვისაცო.

— —

საბერძნეთში მინისტრების კრიზისის გამო გაზეთი „ტიმესი“ ამბობს: რადგანაც ვენიზელოსი სამთა შეთანხმების მომხრეა, ამიტომ კრიზისი ისევე სწრაფათ გაივლის, როგორც დადგა. ვენიზელოსის პოლიტიკა გაიმარჯვებსო.

**ნეიტრალურ სახელმწიფოებში.**

საფრანგეთის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ დარდანელზე ყუმბარების დაშენა და ახლო მომავალში კონსტანტინეპოლის დაცემა იტალიასა და ბალკანეთის სახელმწიფოებს აიძულებს ჰკითხონ თავის თავს, არის თუ არა დრო, რომ ნეიტრალობაზე ხელი აიღონო.

— —

სექტემბერში ეკატერინოდარის პოლიცმეისტერმა დ. კ მიხაილოპულომ შეიტყო, რომ „ცენტრალურ სასტუმროში“ მცხოვრებ ოსტზეისის გერმანელმა ცვალინმა შავიზღვის ნაპირებზე და ყუბანის ოლქში პირველ ხარისხოვანი თამბაქო შეისყიდა რიგაში არსებულ გერმანულ ფირმისთვის „კონფიდენცია“, რომელსაც გერმანიაში უნდა გაეგზავნა. დარდანელის დაკეტვისა და ავსტრიისა და გერმანიის ომის გამო, ცვალინმა თამბაქოს გატანა ვეღარ მოასწრო. დ პ. მიხაილოპულო „ცენტრალურ სასტუმროში“ მივიდა და ცვალინს სავაჭრო წიგნები ჩამოართვა და ატამანს გადასცა.—პირველ დაკითხვაზე ცვალინმა განაცხადა, რომ თამბაქო გერმანული ფულით არის ნაყიდიო და მეორე დღეს კი ირწმუნებოდა, რომ საკუთარი ფულით ვიყიდეო.

— უკანასკნელი განცხადება საეჭვო გამოდგა, რადგანაც ცვალინი წელიწადში 2,000 მან. იღებდა და 2 მილიონ მანეთის თამბაქოს ყიდვას ძნელათ თუ შეიძლებოდა. როგორც გამოირკვა, თამბაქო ბერლინში არსებულ „დ. ბანკიდან“ მოსული ფულით ყოფილა ნაყიდი. ამ საქმემ ყველა ინსტანცია გაიარა და შემდეგ ტფილისში გაგზავნეს. „დ. ბანკს“ ა დ ცვალინის ინტერესებს ნაფ. ვექ. ვერბიჩევი იცავდა. ატამანმა ამ საქმის ვითარება ნამესტნიკს მოახსენა.

— ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა ამ თამბაქოს კონფისკაცია უყონ, საჯაროთ გაიყიდოს და ფული ხაზინას გადაეცესო.

რადგანაც ამჟამათ რუსეთში თამბაქო ცოტაა, კარგ ფასში უნდა გაიყიდოს. ამ თამბაქოში მაღალხარისხოვანი თამბაქოცაა ნარევი:

„სამსონი“ 49,730 ფუთი (ეკატერინოდარში ინახება 20,000 ფ.)

„ტრაპიზონი“ 20,500 ფ. (ნოვოროს. და სუხუმში)

„ბერეგოვოი“ 8 900 ფ, „კუბანისა“ 8,500 ფ., „კომინევისა“ 1,300 ფ. და ვადრაშკოში (მესარ. გუბერ.) 2,240 ფ. კონფისკაცია სულ 100,000 ფუთისაა, რომელიც 2,000,000 მან. უნდა გაიყიდოს.

# დაბა-სოფელი.

**სოფ. ტყიბული.** (ოკრიბა) 14 თებერვალს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც აქ დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო უკვდავ ილიას სახელზე.

ერთი წლის განმავლობაში ისარგებლნია სულ ჟურნალ-გაზეთების კითხვით 3992 კაცსა და ქალს, ამათში ვაჭარი ყოფილა სულ— 680 კაცი, ნოქარი 450, გლეხი 189,—მოწაფე 1149 და სხვა და 1524. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ ყველაზე მეტათ სამკითხველოთი ისარგებ ლია მოსწავლეებს.

კვირას, 8 თებერვალს, მოხდა წევრთა წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 35 ნამდვილი წევრი და სხვა გარეშე ხალხი. თავმჯდომარეთ აირჩიეს მასწ. მ. ბოჭორიშვილი, მდივნათ ქრ. ანდრიაძე.

კრებამ. ფეხზე ადგომით პატივი სცა აკაკის ხსოვნას.

თავმჯდომარემ კრების გახსნისას აუხსნა ხალხს სწავლა განათლების მნიშვნელობა საზოგადოთ და კერძოთ სამკითხველოს მნიშვნელობა გონებრივი განვითარებისათვის.

შემდეგ კრებამ იმსჯელა სამკითხველოსათვის შენობის აგების შესახებ, მაგრამ, ომის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგ დროისთვის გადასდვა. ამის შემდეგ კრებამ განიხილა წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.

აქტივი:

საწევრო გადასახადიდან 67 მან., ერთდროული დახმ. 132 მან. 10 შ., წიგნებისთვის კერძო დახმარება 5 მან. 10 შ. წარმოდგენიდან 22 მ. 2 შ., სასწავლო ნივთების გაყიდვისაგან 5 მ., წერა-კითხვის საზოგადოებისაგან 35 მ. 66 კ.

სულ 267 მ. 76 კ.

პასივი:

შენობის ქირა 40 მ., საფოსტო ხარჯი 3 მ. 3 კ., ინვენტარის ხარჯი 67 მ. ბიბლიოთეკარის ჯამაგირი 12 მ. 10 შ., მუშების და გზის ფული 11 მ. 48 კ., განათება და გათბობა 1 მ. 74 კ., ბეჭვდის ფული 2 მ. 5 შ., წიგნების და ჟურნალ-გაზეთების 89 მ. 76 კ.

სულ 227 მ. 76 კ.

ამ რიგათ მომავალ წლისათ-ის სამკითხველოს დარჩა 50 მ.

დასასრულ აირჩიეს სარევიზიო კომისიის ერთი წევრი კოლია პატარაია, ნაცვლათ ფხაკაძისა და ერთიც მისი კანდიდატი ს. კ—ლი ნაცვლათ დავ. ნემსაძისა.

ამ მოკლე ხანში—აქ ადგილობრივი სცენის მოყვარენი აპირებენ გამართონ უკვდავ აკაკის საღამო. დადგამენ პიესას „მოტყუებულნი“, წაიკითხვენ აკაკის ბიოგრაფიას, მის ლექსებს, გურულ სცენებს და სხვას. შემოსავლის ხუთი მანეთი გადაიდება აკაკის ფონდისათვის, დანარჩენი ბიბლიოთეკის სასარგებლოთ დარჩება.

**სამ. კიკაჩეიშვილი.**

სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის
ფ. დ. ერქომაიშვილი და ა—ბის
ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა ქუთაისში. სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედნის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.
გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.
საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.
პატივის ცემით: ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა. 12—8

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)
მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.

აქვე იმყოფება საჭირო შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

[illegible] სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ი. ქიქოძისა — ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.